ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.01.2018

საჩივრის რეგისტრაციის №002/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ს. ჯ.-ის მიმართ /სიითი №..././ სპეციალიზაცია – საერთო

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. ჯ.-სათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2018 წლის 12 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ს. ჯ.-ის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 26 იანვარს ი. კ.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2012 წელს ის ავტოსაგზაო შემთხვევაში მოჰყვა, კერძოდ, მას დაეჯახა ა. წ. და აღნიშნული შემთხვევის საფუძველზე დაიწყო გამოძიება, რის შემდეგაც მან, როგორც დაზარალებულმა კომპენსაციის დროული მიღებისათვის იურიდიული დახმარების მიღების მიზნით მიმართა ადვოკატ ს. ჯ.-ს. საჩივრის ავტორმა საქმის წარმოებისათვის ადვოკატს ჩაურიცხა 1000 (ათასი) ლარი.

1.3 ადვოკატმა ს. ჯ.-მ საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით მიმართა სასამართლოს სარჩელით. საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს ა. წ.-ის მამამ განმარტა, რომ თავის კუთვნილ ბინას გაყიდდა კომპენსაციის ანაზღაურებისთვის, რა დროსაც ადვოკატმა ს. ჯ.-მ არაფერი მოიმოქმედა, არ გათვალა შესაბამისი რისკები, რომ ბინის გაყიდვის პროცესი შეეჩერებინა. საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარემ ასევე შესთავაზა სადავო თანხის ნახევარი, თუმცა ადვოკატმა ს. ჯ.-მ ი. კ.-ს ურჩია, რომ უარი ეთქვა აღნიშნულ შემოთავაზებაზე და თანხის სრულად ამოღებას დაჰპირდა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მართალია სასამართლო დავა მის სასარგებლოდ დასრულდა, თუმცა მოდავე მხარის მამამ ბინა გაყიდა, რის შედეგადაც, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, კერძოდ, დაკისრებული 12000 (თორმეტი ათასი) ლარის მიღება შეუძლებელი გახდა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წელს ს. ჯ.-ს მისი რჩევის შესაბამისად, ჩაურიცხა ჰონორარის სახით 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი, იმ მიზნით, რომ სასამართლოში საქმის წარმოება განახლებულიყო - ა. წ.-ის მიერ ჩადენილი თაღლითობის გამოასააშკარავებლად, რადგან ა. წ.-მ ფარულად მოახდინა თავისი ოჯახის ქონების რეალიზაცია ი. კ.-სათვის კომპენსაციის გადახდის თავიდან აცილების მიზნით. საჩივრის ავტორის განცხადებით, ამის შემდგომ, ს. ჯ. თავს არიდებდა სატელეფონო ზარებს და მასთან კომუნიკაცია გართულდა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ს. ჯ.-ს აღსრულების ეროვნულ ბიუროშიც უნდა ეწარმოებინა მისი საქმე, თუმცა ამ მხრივაც არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება, მხოლოდ ორჯერ შეხვდა საჩივრის ავტორს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის აღმასრულებელთან ერთად იმყოფებოდა მოდავე მხარის საცხოვრებელ სახლში, დააყადაღეს ნივთები, რის თაობაზეც ადვოკატს ურეკავდა, იმ მიზნით, რომ აღნიშნული საქმის ვითარება გაერკვია, თუმცა დაკავშირებისას მოუცლელობას იმიზეზებდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ს. ჯ. დაჰპირდა, რომ ის დაუბრუნებდა გადახდილ ჰონორარს 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარს, საშემოსავლოს გამოკლებით, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ს. ჯ. მოწინააღმდეგე მხარეზე დაკისრებული თანხის - 12000 (თორმეტი ათასი) ლარის სრულად ამოღებას ვერ შეძლებდა, თუმცა ადვოკატმა თანხა შეთანხმების მიუხედავად არ დააბრუნა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ს. ჯ.-მ 2018 წლის 12 იანვარს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. 2018 წლის 02 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2012 წელს საჩივრის ავტორი ი. კ. ავტოავარიის შედეგად დაზარალდა. მოცემულ საქმეზე, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რის შედეგადაც, დანაშაულის ჩამდენ პირად ცნეს - ა. წ. და დაზარალებულად - ი. კ.. მოცემულ საქმეზე, მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ი. კ.-მ იურიდიული დახმარების მიღების მიზნით, მიმართა ადვოკატ ს. ჯ.-ს და ჰონორარის სახით ჩაურიცხა 1000 (ათასი) ლარი.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მან ი. კ.-ის საქმეზე მიმართა სარჩელით სასამართლოს, რის შედეგადაც დავა დასრულდა ი. კ.-ის სასარგებლოდ და მოწინააღმდეგე მხარეს დაეკისრა 12000 (თორმეტი ათასი) ლარის გადახდა. სასამართლო პროცესზე ი. კ.-ის მოწინააღმდეგე მხარის მამამ განაცხადა, რომ ის თავად გადაიხდიდა მის შვილზე დაკისრებულ თანხას.

ადვოკატის განცხადებით, ის ვერ დაავალდებულებდა მოწინააღმდეგე მხარის ოჯახის წევრებს მათ აენაზღაურებინათ ზიანი. ი. კ.-ს მოპასუხე მხარე სთავაზობდა 6000 (ექვსი ათასი) ლარის გადახდას, თუმცა ამ მორიგებაზე ის არ დათანხმდა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გაიცა სააღსრულებო ფურცელი. ადვოკატს საჩივრის ავტორმა ჩაურიცხა ჰონორარის სახით 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი, იმ მიზნით, რომ სააღსრულებო ბიუროში საქმის წარმოების მიმდინარეობის დროს მისი ინტერესები წარმოედგინა. ადვოკატი 2017 წლის ნოემბრის თვემდე ეკონტაქტებოდა აღმასრულებელს, თუმცა აღმოჩნდა რომ მოვალეს სახელზე არანაირი ქონება არ ირიცხებოდა. ადვოკატს ი. კ.-მ აცნობა, რომ მისი მოვალე - ა. წ. ცხოვრობდა ქირით ქალბატონთან ერთად და ისინი უძღვებოდნენ საერთო მეურნეობას, რის შემდეგაც, ადვოკატმა, როგორც ი. კ.-ის წარმომადგენელმა შეადგინა სამოქალაქო სარჩელი მოდავე მხარის წინააღმდეგ, მიმართა სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და დაყადაღდა მითითებული ქონება, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ქონება, რომელსაც ა. წ. სარგებლობდა ეკუთვნოდა მესამე პირს და შეუძლებელი იყო ამ ქონების რეალიზაცია ი. კ.-ის სასარგებლოდ.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მან შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და მიიღო შესაბამისი საადვოკატო მომსახურების ჰონორარი, რომელიც გათვალისწინებული იყო ი. კ.-თან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ადვოკატის განმარტებით, ის არ დაპირებია საჩივრის ავტორს თანხის ამოღებას, რადგან სააღსრულებო პოლიციის ვალდებულებაა კრედიტორს დაეხმაროს თანხის ამოღებაში.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ს. ჯ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №..../ სპეციალიზაცია – საერთო. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2 ი. კ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 09 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება ხორციელდება 2017 წელს. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატს შეთანხმების შესაბამისად, უნდა განეახლებინა სასამართლოში საჩივრის ავტორის საქმის წარმოება, მათ შორის წარმოედგინა საჩივრის ავტორის ინტერესები სააღსრულებო ბიუროში, თუმცა ადვოკატმა არ განახორციელა შესაბამისი იურიდიული მომსახურება, არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს, იმიზეზებდა მოუცლელობას და მან უნდა დაუბრუნოს საჩივრის ავტორს გადახდილი საადვოკატო მომსახურების ჰონორარი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მხრიდან შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები„.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

5.3 ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა საქმის მიმდინარეობისას უნდა უზრუნველყოს მისი კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით პერიოდულად მიაწოდოს სრული და სწორი ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას. მათ შორის უნდა გააცნოს საქმესთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია/დოკუმენტები.

5.4 ადვოკატის მიერ ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები ჰონორარის გამოქვითვის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 განმარტა, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან

გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში".

5.5 მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციების მიხედვით ირკვევა, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ს უნდა გაეწია სააადვოკატო მომსახურება ი. კ.-სათვის სამოქალაქო საქმეზე. კერძოდ, ადვოკატმა 2013 წელს მიმართა სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რის შედეგადაც მოწინააღმდეგე მხარეს ი. კ.-ის სასარგებლოდ დაეკისრა 12 000 (თორმეტი ათასი) ლარის გადახდა.

5.6 საჩივრის ავტორი თავის პრეტენზიაში უთითებს, რომ შეთანხმების შესაბამისად, 2015 წელს ადვოკატს უნდა განეახლებინა სასამართლოში საქმის წარმოება და ადვოკატი დაპირდა, რომ სააღსრულებო ბიუროს მეშვეობით მოახდენდა მოწინააღმდეგე მხარისგან თანხის ამოღებას, თუმცა არ განახორციელა შესაბამისი იურიდიული მოქმედებები, ვერ ახერხებდა მასთან დაკავშირებას, რის გამოც ადვოკატისგან მოითხოვა გადახდილი ჰონორარის 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის უკან დაბრუნება. ადვოკატი არ იზიარებს საჩივრის ავტორის მოცემულ პოზიციას და აღნიშნავს, რომ ის არ დაპირებია ი. კ.-ს, რომ ნამდვილად მიიღებდა მოწინააღმდეგე მხარისგან თანხას. ადვოკატი უთითებს, რომ ის წარმოადგენდა ი. კ.-ის ინტერესებს სააღსრულებო ბიუროში, ასევე უკავშირდებოდა თავად საჩივრის ავტორს საქმის თაობაზე, მიმართა სასამართლოს მოწინააღმდეგე მხარის მფლობელობაში არსებული ნივთების დაყადაღების მოთხოვნით, თუმცა აღმოჩნდა, რომ მოვალის სახელზე არანაირი ქონება არ ირიცხებოდა.

5.7 საპროცესო კოლეგია მოცემულ შემთხვევაში აღნიშნავს, რომ ადვოკატსა და ი. კ.-ს შორის 2015 წლის 18 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ადვოკატს უნდა წარმოედგინა ი. კ.-ის, როგორც დაზარალებულის ინტერესები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეზე, გაეწია სამართლებრივი მომსახურება „ზიანის ანაზღაურებისა და კუთვნილი თანხის ამოღების თაობაზე" (ხელშეკრულება; ს.ფ.). მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს მისცა გარანტია, რომ ის ნამდვილად მოახდენდა მოვალისგან თანხის ამოღებას. აგრეთვე, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდის საკმარისი საფუძველი იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

5.8 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს არ განუხორციელებია სრულად საადვოკატო მომსახურება მიღებული ჰონორარის პროპორციულად, ადვოკატს შეუძლია გამოქვითოს მის მიერ გაწეული მომსახურების გასამრჯელო კლიენტისგან მიღებული თანხიდან და დანარჩენი უნდა დაუბრუნდეს კლიენტს. 2018 წლის 22 თებერვალს ადვოკატმა ს. ჯ.-მ წარმოადგინა გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, იმის თაობაზე, რომ მან მიღებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ნაწილი - ასი ლარი დაუბრუნა საჩივრის ავტორს (გადახდის ქვითარი ს.ფ.10).

5.9 საპროცესო კოლეგია თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №002/18 ადვოკატ ს. ჯ.-ის მიმართ /სიითი №..././ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/